

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №717

2020 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო პროგრამის – უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სახელმწიფო პროგრამა – უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმი“.

მუხლი 2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში უზრუნველყოს ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

სახელმწიფო პროგრამა – უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმი

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და აღწერა

„სახელმწიფო პროგრამის – უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმის“ (შემდგომში – პროგრამა) მიზანს წარმოადგენს, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმის შექმნით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის, ცოდნისა და ტექნოლოგიის შემოდინებისა და განსაზღვრულ ეკონომიკურ სექტორებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

პროგრამის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო/გრანტის გამცემი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ბ) პროგრამა – უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის მექანიზმი;

გ) კომპანია/საწარმო/გრანტის მიმღები – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელსაც პროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არ გააჩნია სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში და წარმოადგენს სათავო/მშობელი კომპანიის შვილობილ კომპანიას;

დ) შვილობილი კომპანია – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელშიც სათავო/მშობელი კომპანია ფლობს წილის (ხმის



უფლების მქონე აქციების, პაის) არანაკლებ 50%-ს;

ე) **სათავო/მშობელი კომპანია** – საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული/რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს შვილობილი კომპანიის მეშვეობით;

ვ) **განაცხადი** – კომპანიის მიერ, პროგრამის ფარგლებში, სააგენტოსთვის წარდგენილი განცხადების ფორმა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, რომელიც მოიცავს ბიზნესგეგმასა და ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ზ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმება პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების თაობაზე;

თ) **განსაზღვრული სექტორები** – საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) (NACE-Rev-2) შესაბამისად შერჩეული და ამ პროგრამის დანართ №1-ში მოცემული ინდუსტრიები;

ი) **ბენეფიციარი** – კომპანია, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული გრანტი;

კ) **გრანტი** – სააგენტოს მიერ ამ პროგრამის ფარგლებში მიზნობრივად გაცემული ფულადი სახსრები, რომლებიც „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ მიიჩნევა „გრანტად“;

ლ) **უცხოური ინვესტიცია** – ამ პროგრამის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, კაპიტალის ნაკადების შემოდინება უცხო ქვეყნიდან საქართველოში;

მ) **საინვესტიციო ვალდებულება** – კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება განსაზღვრული საინვესტიციო პროექტის შესაბამის ვადებში განხორციელების, ინვესტიციის მოცულობისა და შექმნილი სამუშაო ადგილების თაობაზე;

ნ) **დაგეგმილი ინვესტიცია** – კომპანიის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გასაწევი ინვესტიციის ოდენობის თაობაზე;

ო) **განხორციელებული ინვესტიცია** – კომპანიის მიერ განსაზღვრულ სექტორებში გრანტის მიღების მიზნით რეალურად გაწეული ხარჯის მოცულობა, რომელიც მოიცავს კაპიტალური დანახარჯებისა და სამუშაო ძალის გადამზადების/ტრენინგის მიზნობრიობით გაწეული ხარჯების ჯამს;

პ) **კაპიტალური საშუალება/ხარჯი** – დანახარჯი, გაწეული ისეთ მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივზე (გარდა გუდვილისა), რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოებისთვის, საქონლის მიწოდებისთვის/მომსახურების გაწევისთვის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია. ამასთან, კაპიტალურ ხარჯად არ მიიჩნევა სატრანსპორტო საშუალების შეძენის/რემონტის მიზნობრიობით გაწეული ხარჯი, გარდა იმგვარი ხარჯისა, რომელიც გაწეულია ისეთი სპეციალური საშუალებების შეძენაზე/რემონტზე, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საწარმოს ტერიტორიაზე პროდუქციის/მომსახურების წარმოების პროცესში;

ჟ) **სამუშაო ძალის გადამზადების/ტრენინგის მიზნობრიობით გაწეული ხარჯი** – კომპანიის მიერ შემდეგი მიზნობრიობით გაწეული ხარჯი:

– ტრენერ(ებ)ის სახელფასო ანაზღაურება (ადგილობრივი და უცხოელი);

– სატრენინგო მომსახურების ღირებულება;

– უცხოელი ტრენერების ჩამოყვანის შემთხვევაში, ტრენერების მგზავრობასა და განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები;

– გადასამზადებელი თანამშრომლების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ვიზიტის შემთხვევაში, თანამშრომლების მგზავრობასა და განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები;

– სასწავლო სივრცის დაქირავების საჭიროების შემთხვევაში, ქირის ხარჯი;



- გადამზადების მიზნებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის შეძენის/ქირავნობის ხარჯი (ჩაფხუტები, სპეცტანსაცმელი და ა. შ.).

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის დადგენილება №375 – ვებგვერდი, 19.07.2022წ.

მუხლი 3. პროგრამაში მონაწილე სუბიექტთა უფლებამოსილება

1. სააგენტო:

1.1. ახორციელებს პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებას.

1.2. ახორციელებს პროგრამით დაინტერესებული კომპანიების საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფას.

1.3. აფორმებს ხელშეკრულებას პროგრამის ბენეფიციართან და უზრუნველყოფს მის დაფინანსებას (გრანტის გაცემას) სააგენტოს ასიგნებებიდან, პროგრამით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

1.4. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს განაცხადის ფორმას, მისი წარდგენისა და პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცედურას და შესაბამისობის დადგენაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს.

1.5. ახორციელებს ბენეფიციართა მხრიდან ხელშეკრულებითა და ამ პროგრამით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პერიოდულობითა და წესით.

1.6. უფლებამოსილია, ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაადგინოს პროგრამის დამატებითი პირობები.

2. კომპანია:

2.1. სააგენტოს მიერ დადგენილი წესით განაცხადით მიმართავს სააგენტოს.

2.2. სააგენტოსა და მას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს ხელშეკრულებაში მითითებულ საქმიანობას, მითითებულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით.

2.3. სააგენტოსთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ანგარიშვალდებულია სააგენტოს წინაშე, ხელშეკრულებითა და ამ პროგრამით განსაზღვრული წესითა და პერიოდულობით.

მუხლი 4. განხორციელებული ინვესტიციის მიზნობრიობა

1. პროგრამის ფარგლებში სააგენტო გასაცემ მოცულობას ითვლის კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობიდან და არა დაგეგმილი ინვესტიციიდან.

2. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უფლებამოსილია, გრანტი გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.1, 1.3 ან 1.4 პუნქტებით განსაზღვრულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციის არანაკლებ 85%-ისა მოიცავს კაპიტალურ, ხოლო არაუმეტეს 15%-ისა – სამუშაო ძალის გადამზადების/ტრენინგის მიზნობრიობით გაწეულ ხარჯს.

3. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უფლებამოსილია, გრანტი გასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.2 პუნქტით განსაზღვრულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციის არანაკლებ 50%-ისა მოიცავს კაპიტალურ, ხოლო არაუმეტეს 50%-ისა – სამუშაო ძალის გადამზადების/ტრენინგის მიზნობრიობით გაწეულ ხარჯს.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის დადგენილება №375 – ვებგვერდი, 19.07.2022წ.



მუხლი 5. პროგრამის მიმართულებები და კრიტერიუმები

1. ამ პროგრამით, პროგრამის მიზნებისათვის განსაზღვრული სექტორებია:

1.1. წარმოება.

1.2. ექსპორტზე ორიენტირებული/მომუშავე ბიზნესსერვისების/ პროცესების აუტსორსინგი (BPO – საქართველოდან სხვა ქვეყანაში/უცხოურ ბაზარზე მომსახურების მიწოდებას/აუტსორსინგს).

1.3. დასაწყობება და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა.

1.4. საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური მომსახურება (MRO).

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი სექტორები, შესაბამისი საქმიანობის კოდებით, დეტალურად მოცემულია ამ პროგრამის დანართ №1-ში.

2. საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) არის შვილობილი კომპანია;

ბ) ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ინვესტიციის მოცულობის ვალდებულების არანაკლებ 50%-ის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს უცხოური ინვესტიციით;

გ) მშობელ კომპანიას აქვს არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება პროგრამის დანართ №1-ში ჩამოთვლილ ან/და მათთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობებში. ამასთან, პროგრამის მიზნებისათვის, დანართ №1-ში მოცემულ ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულ საქმიანობად მიიჩნევა საქმიანობის კოდის გრაფაში მოცემული კოდი აღნიშვნა „*“-ის გაუთვალისწინებლად. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი დაერთვება განაცხადს;

დ) კომპანია და მისი მშობელი კომპანია საქმიანობას ახორციელებენ პროგრამის დანართ №1-ში მითითებული საქმიანობებიდან ერთ-ერთში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის დადგენილება №375 – ვებგვერდი, 19.07.2022წ.

მუხლი 6. გრანტის ოდენობა და საინვესტიციო ვალდებულებები

გრანტის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. განხორციელებული ინვესტიციის 15% – თუ კომპანიის მიერ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ სექტორში ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ვალდებულებები:

– განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა – არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) ლარისა და არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარისა;

– შექმნილი სამუშაო ადგილების ოდენობა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 39-ე თვეს სრულ განაკვეთზე დასაქმებული არანაკლებ 100 ადამიანისა, საიდანაც არანაკლებ 60%-ისა არის საქართველოს მოქალაქე.

2. განხორციელებული ინვესტიციის 15% – თუ კომპანიის მიერ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ სექტორში ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ვალდებულებები:

– განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა – არანაკლებ 2 მილიონი (ორი მილიონი) ლარისა და არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარისა;



– შექმნილი სამუშაო ადგილების ოდენობა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 39-ე თვეს სრულ განაკვეთზე დასაქმებული არანაკლებ 200 ადამიანისა, საიდანაც არანაკლებ 60%-ისა არის საქართველოს მოქალაქე. გარდა დანართ №1-ში მოცემული შემდეგი ეკონომიკური საქმიანობის კოდებისა: 58.2, 58.29, 62.0, 62.01, 62.03, 62.09, 63.11 – აღნიშნულ კოდებში ხელშეკრულების გაფორმებიდან 39-ე თვეს სრულ განაკვეთზე დასაქმებული უნდა იყოს არანაკლებ 50 ადამიანისა, საიდანაც არანაკლებ 60%-ისა უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

3. განხორციელებული ინვესტიციის 15% – თუ კომპანიის მიერ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.3 და 1.4 პუნქტებით გათვალისწინებულ სექტორებში ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ვალდებულებები:

– განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა – არანაკლებ 8 000 000 (რვა მილიონი) ლარისა და არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარისა;

– შექმნილი სამუშაო ადგილების ოდენობა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 39-ე თვეს სრულ განაკვეთზე დასაქმებული არანაკლებ 50 ადამიანისა, საიდანაც არანაკლებ 60%-ისა არის საქართველოს მოქალაქე.

4. იმ შემთხვევაში, თუკი განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა აღემატება 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარს და კომპანია შესაბამისი ეკონომიკური პროგნოზითა და დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, სააგენტო, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

5. საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობის დადასტურების შემთხვევაში, კომპანიის მიერ ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, სააგენტო განახორციელებს ამავე პუნქტებით დადგენილი ოდენობით გრანტის ანაზღაურებას (სექტორის გათვალისწინებით), თუ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული არ იქნება განსხვავებული გადაწყვეტილება საინვესტიციო ვალდებულებებისა და გრანტის ოდენობის თაობაზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობის მიერ არ მოხდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობის დადასტურება, სააგენტო გრანტის ანაზღაურებას განახორციელებს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარამდე განხორციელებული ინვესტიციიდან.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ივლისის დადგენილება №375 – ვებგვერდი, 19.07.2022წ.

მუხლი 7. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. პროგრამით დაინტერესებული კომპანია განაცხადით მიმართავს სააგენტოს.

2. კომპანიის მხრიდან ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის 1.4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი წესის დაცვით დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, სააგენტოსა და კომპანიას შორის ფორმდება ხელშეკრულება.

3. გრანტის გაცემა სააგენტოს მხრიდან ხორციელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ამ პროგრამის მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მიმდინარე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი საბოლოო აუდირებული დასკვნების შემდეგ 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. კომპანია იღებს ვალდებულებას:

ა) ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.1, 1.3 და 1.4 პუნქტებით განსაზღვრული სექტორების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 39 თვისა დაიწყოს საქმიანობა/ფუნქციონირება, ხოლო ამ პროგრამის მე-6 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს შემდეგი წესით:



ა.ა) ვალდებულებით ნაკისრი ინვესტიციის მოცულობის არანაკლებ 25%-ისა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 18 თვისა;

ა.ბ) ვალდებულებით ნაკისრი ინვესტიციის მოცულობის დარჩენილი ნაწილი განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 39 თვისა;

ა.გ) ვალდებულებით ნაკისრი თანამშრომელთა რაოდენობის 100% დაიქირაოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 39 თვისა;

ბ) ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის 1.2 პუნქტით განსაზღვრული სექტორის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 24 თვისა დაიწყოს საქმიანობა/ფუნქციონირება, ხოლო ამ პროგრამის მე-6 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს შემდეგი წესით:

ბ.ა) ვალდებულებით ნაკისრი ინვესტიციის მოცულობის არანაკლებ 60%-ისა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 თვისა;

ბ.ბ) ვალდებულებით ნაკისრი ინვესტიციის მოცულობის დარჩენილი ნაწილი განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 39 თვისა;

ბ.გ) ვალდებულებით ნაკისრი თანამშრომელთა რაოდენობის 60% დაიქირაოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 თვისა;

ბ.დ) ვალდებულებით ნაკისრი თანამშრომელთა რაოდენობის 100% დაიქირაოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 39 თვისა;

გ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად შესრულების შესახებ – 21 თვეში, ხოლო ამ პუნქტის „ბ“, „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად შესრულების შესახებ – 27 თვეში, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს შუალედური აუდიტორული დასკვნა;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 42 თვისა, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით წარადგინოს საბოლოო აუდიტორული დასკვნა.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნები უნდა იყოს გაცემული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირველი ან მეორე კატეგორიის აუდიტორული კომპანიის მიერ. აუდიტორული დასკვნები უნდა მომზადდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 17 ოქტომბრის №15 ბრძანების საფუძველზე სამოქმედოდ შემოღებული, ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით (2018 წლის გამოცემა) გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

მუხლი 9. სხვა არსებითი პირობები

1. ამ პროგრამით გათვალისწინებულ გრანტზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადის მიღების ვადა განისაზღვრება დადგენილების ამოქმედების თარიღით.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, მხარეთა პასუხისმგებლობის ზომა და ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულებით.



ხელშეკრულებით ნაკისრი კონკრეტული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას, იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ სრულად შესრულდება ყველა სხვა ნაკისრი ვალდებულება და ვადის დარღვევის მიუხედავად შესრულდება ეს კონკრეტული ვალდებულებაც, კომპანიის მიერ მისაღები გრანტის მოცულობა შემცირდება არანაკლებ 20%-ით.

3. ამ პროგრამის განხორციელებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

პრიორიტეტული სექტორები, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის, სეკ 006-2016 (NACE-Rev-2) მიხედვით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის სახეები:

საქმიანობის კოდი	საქმიანობის სახე
წარმოება (მე-5 მუხლი, 1.1)	
26	კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება
27	ელექტრული მოწყობილობების წარმოება
28	მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
29	ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისამბელებისა და ნახევარმისამბელების წარმოება
30	სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება
22.1*	აღნიშნული ინდუსტრიიდან დასაშვებია მხოლოდ: კომპიუტერებისთვის, დანადგარებისთვის, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის რეზინის ნაწილებისა და კომპონენტების წარმოება, როგორებიცაა: საბურავები, შიდა კამერები, კონვეიერები ან ამძრავი ღვედები, მილები, ფურცლები, ზოლები და რეზინის სხვა ნაწარმი (მზა პროდუქტების წარმოება და არაშუალედური პროდუქტები/ნახევარფაბრიკატები)
22.2*	აღნიშნული ინდუსტრიიდან დასაშვებია მხოლოდ: კომპიუტერებისთვის, დანადგარებისთვის, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის პლასტმასის ნაწილებისა და კომპონენტების წარმოება, როგორებიცაა: შიდა ინტერიერის მასალები, მილები, ფურცლები, ბლოკები, ზოლები და პლასტმასის სხვა ნაკეთობები (მზა პროდუქტების წარმოება და არაშუალედური პროდუქტები/ნახევარფაბრიკატები)
25*	აღნიშნული ინდუსტრიიდან დასაშვებია მხოლოდ: კომპიუტერებისთვის, დანადგარებისთვის, მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის ლითონის მზა ნაწილების წარმოება, როგორებიცაა: ლითონის ტევადობები და რეზერვუარები, ჩასაყენებელი საკეტები და გასაღებები, ლითონის კაბელები, ზამბარები და ლითონის სხვა მზა ნაწილები (მზა პროდუქტების წარმოება და არაშუალედური პროდუქტები/ნახევარფაბრიკატები)
ექსპორტზე ორიენტირებული/მომუშავე ბიზნესსერვისების/პროცესების აუტსორსინგი (BPO) (მე-5 მუხლი, 1.2)	
63.1*	აღნიშნული ინდუსტრიიდან დასაშვებია მხოლოდ: მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები; ვებპორტალები
63.99	საინფორმაციო მომსახურების სხვა საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
71.1	არქიტექტურული და საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტაციები
82.11	კომპლექსური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობები
58.2	პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა
58.21	კომპიუტერული თამაშების გამოცემა
58.29	სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა
62.0	კომპიუტერული დაპროგრამება, კონსულტირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები
62.01	კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები
62.03	კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები
62.09	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები
63.11	მონაცემების დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები
დასაწყობება და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა (მე-5 მუხლი, 1.3)	
52.1	დასაწყობება და შენახვა
52.29	ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები
საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური მომსახურება (MRO) (მე-5 მუხლი, 1.4)	
33.16	საჰაერო და კოსმოსური ხომალდების რემონტი და ტექნიკური მომსახურება

შენიშვნა: აღნიშვნა „*“ გულისხმობს, რომ დასახელებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ „საქმიანობის სახის“ გრაფაში ჩამოთვლილი ბიზნესაქტივობების განხორციელება.



